

# 2025

## წლიური ანგარიში
## ANNUAL REPORT

Fintech Association of Georgia
საქართველოს ფინტექ ასოციაცია

FIA
FINTECH ASSOCIATION OF GEORGIA

# სარჩევი CONTENTS


## ასოციაციის შესახებ / ABOUT THE ASSOCIATION 4

ჩვენი ხედვა / Our Vision 6
ჩვენი მიზნები / Our Goals 6
ჩვენი სერვისები / Our Services 6
თავმჯდომარის მიმართვა / Chairman's Message 12

## ღონისძიებები / EVENTS 14

შეხვედრა ბრიტანეთის საელჩოსთან / Meeting with the British Embassy 14
UK Fintech Week 15
Forbes Georgia Banking Conference 16
AML ტრენინგი / AML Training 16
Istanbul Fintech Week 2025 17
Open Banking Workshop 2025 17
Innovations Beyond Banking | Global Tech Weekend Tbilisi 18
Global Tech Weekend Tbilisi 2025 – მთავარი ღონისძიება: "Shaping the New Era" / Main Event: "Shaping the New Era" 19
FIA-ს ყოველწლიური გასვლითი ღონისძიება /FIA's Annual Offsite Event 20
Networking Georgia 2025 21
Touch Summit 25 21

## მნიშვნელოვანი სიახლეები / IMPORTANT NEWS AND UPDATES 22

ფინტექის განვითარების ეროვნული სტრატეგია / National Strategy for Fintech Development 22
აღიარება World Bank Group-ის მიერ / Recognition by the World Bank Group 23
Crowdfunding-ის სატესტო პროექტის დაწყება რეგულირების ლაბორატორიაში / Launch of Crowdfunding Pilot Project in the Regulatory Laboratory 23
A.I. სენდბოქსის სატესტო პროექტის დაწყება / Launch of AI Sandbox Pilot Project 24
ცვლილება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციისა და რეგულირების წესში / Amendments to the Rule on Registration and Regulation of Virtual Asset Service Providers 25

## ახალი წევრები / NEW MEMBERS 26

## ახალი პარტნიორები / NEW PARTNERS 28

Baltic Payment Forum 2025 28
FinTech & Crypto Week 2025 29
Agora Fintech 19
Dubai Fintech Summit 30
Istanbul Fintech Week 2025 30
UNCHAIN Fintech Festival 2025 31
FINTEX SUMMIT BAKU 2025 31
DEF-AI 2025 32
Fintech Moldova Conference 2025 32
Tbilisi Finance Summit 33
IX International Banking Forum 2025 (IBF 2025) 34
Touch Summit 25 34
APIX Platform 35

## ბაზრის ახალი მოთამაშეები / NEW MARKET PLAYERS 36

## სამომავლო გეგმები / FUTURE PLANS 37

## კონტაქტი / CONTACT 38

# ასოციაციის შესახებ

ბოლო წლებში ფინტექ სექტორი საქართველოში და მსოფლიოში დინამიკური ზრდით ხასიათდება და ფინანსური სერვისების მიწოდების ახალი, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მოდელები სულ უფრო ფართოდ ინერგება. სექტორის გაფართოებამ და ბაზარზე ახალი მოთამაშეების გაჩენამ დღის წესრიგში დააყენა ასოციაციის დაარსების აუცილებლობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ფინტექ ინდუსტრიის კოორდინირებულ განვითარებას და ეფექტურ კომუნიკაციას სექტორის წარმომადგენლებსა და მარეგულირებელ ინსტიტუტებს შორის. სწორედ ამ საჭიროებაზე პასუხად ჩამოყალიბდა საქართველოს ფინტექ ასოციაცია (FIA).

საქართველოს ფინტექ ასოციაცია დაარსდა 2019 წელს ტექ ინდუსტრიის ლიდერთა ჯგუფის მიერ. დაარსების დღიდან FIA ფუნქციონირებს, როგორც განათლების, ინფორმაციისა და კავშირების გაზიარების პლატფორმა, რომელიც აერთიანებს კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე საერთაშორისო პარტნიორებს. FIA ხელს უწყობს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ფინანსური სერვისების განვითარებას და სექტორში რეგულაციების მოდერნიზაციას, ინკლუზიურობისა და ინოვაციურობის მხარდაჭერას. ასოციაციის წევრები არიან ინოვატორები, ბაზრის ახალი მოთამაშეები, რომლებიც ქმნიან თანამედროვე, მოქნილ და მომხმარებელზე ორიენტირებულ ფინანსურ პროდუქტებს და ამით ავსებენ და ავითარებენ ტრადიციულ ფინანსურ სექტორს.

დაფუძნებიდან დღემდე საქართველოს ფინტექ ასოციაციამ საკმაოდ გრძელი, საინტერესო და პროდუქტიული გზა განვლო. ასოციაციის ხელმძღვანელობითა და ჩართულობით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მონაწილეობა მივიღეთ ფინტექ სექტორის საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში, ორგანიზაციაში გაერთიანდნენ ქართული ფინტექ ბაზრის უმსხვილესი წარმომადგენლები, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები. ასევე, FIA-მ არაერთი მნიშვნელოვანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამჟამად საქართველოს ფინტექ ასოციაცია აერთიანებს 34 წევრ და 26  პარტნიორ კომპანიას.



# ABOUT THE ASSOCIATION

In recent years, the fintech sector in Georgia and globally has been characterized by dynamic growth and the widespread adoption of new, technology-driven financial service models. This sector expansion and the emergence of new market players underscored the necessity of establishing an association to facilitate coordinated industry development and effective communication between sector representatives and regulatory institutions. The Fintech Association of Georgia (FIA) was established specifically to address this strategic need.

The Fintech Association of Georgia was established in 2019 by a group of technology industry leaders. Since its inception, the FIA has functioned as a central platform for education, information exchange, and networking that brings together representatives from both the private and public sectors as well as international partners. The Association promotes the development of technology-driven financial services, advocates for regulatory modernization, and champions inclusivity and innovation within the sector. Our membership consists of innovators and emerging market players who create modern, agile, and customer-centric financial products that complement and evolve the traditional financial landscape.

Since its founding, the Fintech Association of Georgia has navigated a significant, dynamic, and productive journey. Under the leadership and active engagement of the Association, numerous pivotal projects have been implemented. We have participated in major local and international fintech conferences, and the organization has successfully united the largest players in the Georgian fintech market alongside prominent international organizations. Furthermore, the FIA has formalized multiple strategic Memoranda of Understanding with various local and global entities. Currently, the Fintech Association of Georgia comprises 34 member companies and 26 partner organizations.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲓᲕᲐ

ჩვენი ხედვაა გავაერთიანოთ ფინტექ კომპანიების ხმა, გავაძლიეროთ ფინტექ სექტორის როლი საქართველოს ფინანსურ სისტემაში. ასევე, ფინტექების ინტერესების ადვოკატირება და წარმომადგენლობა პოლიტიკურ დონეზე, განსაკუთრებით საქართველოს ინსტიტუტებისა და სხვა მარეგულირებელი ორგანოების მიმართ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ

- შევქმნათ ფინტექ კომპანიების ერთიანი, ძლიერი ხმა.
- გავაძლიეროთ ფინტექ სექტორის როლი და ინკლუზიურობა საქართველოს საფინანსო სისტემაში ეროვნული ბანკის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან სრული თანხვედრით, საჯარო და კერძო სექტორებს შორის ეფექტური თანამშრომლობის გზით.
- ჩამოვაყალიბოთ საკომუნიკაციო პლატფორმა ფინტექ კომპანიებისთვის და ნეთვორქინგის გზით ხელი შევუწყოთ მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობას.
- ვიმოქმედოთ, როგორც ფორმალიზებულმა შუამავალმა რგოლმა ფინტექ კომპანიებს, ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის.
- ლობირება გავუწიოთ ფინტექ-მეგობრული რეგულაციების დანერგვას და საერთაშორისო მოთამაშეების ბაზარზე შემოსვლის გამარტივებას.
- გავზარდოთ საქართველოს ფინტექ სექტორის ცნობადობა გლობალურ ბაზარზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობის დამყარების გზით.
- ავამაღლოთ ფინტექ ცნობადობა და ფინანსური წიგნიერება საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და კონფერენციების მეშვეობით.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲔᲑᲘ

ჩვენი მიზანია, გავაძლიეროთ ფინტექ სექტორის როლი საქართველოს ფინანსურ სისტემაში. ამიტომ ვეხმარებით ფინტექ სტარტაპებს დაფუძნებასა და განვითარებაში, რისთვისაც მნიშვნელოვანია მარეგულირებელთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ყოფნა. სწორედ ამიტომ, შევიმუშავეთ სტარტაპებზე ორიენტირებული ლიცენზირების სერვისები, რათა ხელი შევუწყოთ სტარტაპებს ბაზარზე შემოსვლასა და დამკვიდრებაში.

## OUR VISION

Our vision is to unify the voices of fintech companies and strengthen the role of the fintech sector within Georgia's financial system. We are dedicated to advocating for and representing the interests of fintechs at the policy level, specifically regarding engagement with Georgian institutions and other regulatory bodies.

## OUR GOALS

- Create a single, powerful voice for fintech companies.
- Enhance the role and inclusivity of the fintech sector within the Georgian financial system in full alignment with the strategic priorities of the National Bank, fostering effective collaboration between the public and private sectors.
- Establish a dedicated communication platform for fintech companies to facilitate close cooperation and networking opportunities.
- Act as a formalized intermediary entity linking fintech companies, the National Bank, and commercial banks.
- Lobby for the implementation of fintech-friendly regulations and simplify market entry procedures for international players.
- Increase the visibility of the Georgian fintech sector on the global market by establishing partnerships with international organizations.
- Raise fintech awareness and improve financial literacy through targeted educational activities and conferences.

## OUR SERVICES

Our primary objective is to fortify the role of the fintech sector within Georgia's financial system. To this end, we actively support the establishment and growth of fintech startups, recognizing that strict adherence to regulatory frameworks and legal compliance is fundamental to their success. Consequently, we have developed specialized licensing services tailored to startups to facilitate their seamless market entry and sustainable establishment.



## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ:

### ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲙᲝᲜᲡᲐᲚᲢᲘᲜᲒᲘ

საქართველოს ფინტექ ასოციაცია საქართველოს ფინტექ სექტორით დაინტერესებულს კომპანიებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც მოიცავს ბიზნესების მხარდაჭერას სტრატეგიული დაგეგმვის, ბიზნეს მოდელის დახვეწის, ბაზარზე შესვლისა და ზრდის სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით, ასევე დახმარებას რეგულაციებთან შესაბამისობაში, რისკების მართვასა და AML/KYC მოთხოვნებთან ადაპტაციაში; გარდა ამისა, ის მოიცავს პროდუქტის განვითარების, UX/UI-ს გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შერჩევის მხარდაჭერას, პარტნიორობების შექმნას ბანკებთან და ფინტექ ეკოსისტემის სხვა მოთამაშეებთან, ინდუსტრიულ ღონისძიებებზე წვდომას, მენტორინგს და სპეციალიზებულ ტრენინგებს გუნდის პროფესიული განვითარების მიზნით.

### ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲐᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ

საქართველოს ფინტექ ასოციაცია კრიპტო სექტორით დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზიის მოპოვების შესაძლებლობას, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. სერვისი მოიცავს შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების პროექტის შემუშავებიდან და ლიცენზიის მოპოვებამდე სრული ციკლის მართვას, აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას, სავალდებულო პოლიტიკა / პროცედურების მომზადებას, პროექტის მენეჯმენტს და მარეგულირებელთან კომუნიკაციას.

### ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲮᲓᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲐᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ

კომპანიას,  რომელსაც სურს ნებისმიერი ტიპის საგადახდო მომსახურების ან საგადახდო სერვისის განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოიპოვოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზია. საქართველოს ფინტექ ასოციაცია  დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს მომსახურების სრულ პაკეტს, რომელიც მოიცავს სალიცენზიო პროექტის შემუშავებიდან, ლიცენზიის მოპოვებამდე მთლიანი პროცესის მართვას, მათ შორის მარეგულირებელთან კომუნიკაციას.

## OUR SERVICES INCLUDE:

### BUSINESS CONSULTING

The Georgian Fintech Association offers consulting services to companies interested in Georgia’s fintech sector. These services include support for businesses in strategic planning, refining business models, developing market entry and growth strategies, as well as assistance with regulatory compliance, risk management, and adaptation to AML/KYC requirements. In addition, the services cover support in product development, UX/UI improvement, and selection of technological solutions; building partnerships with banks and other players in the fintech ecosystem; access to industry events; mentoring; and specialized training aimed at the professional development of teams.

### VIRTUAL ASSET SERVICE PROVIDER (VASP) LICENSING SERVICE

The Fintech Association of Georgia offers companies interested in the crypto sector the opportunity to obtain the relevant service provider license issued by the National Bank of Georgia. This service encompasses the management of the full lifecycle, from the initial development of the licensing project to the final acquisition of the license. It includes the preparation of essential documentation and mandatory policies and procedures, along with comprehensive project management and liaison with the regulator.

### PAYMENT SERVICE PROVIDER (PSP) LICENSING SERVICE

Any entity intending to execute payment services within the territory of Georgia is mandated to obtain a Payment Service Provider license from the National Bank of Georgia. The Fintech Association of Georgia offers interested companies a comprehensive service package that covers the management of the entire process, from the initial development of the licensing project to the successful acquisition of the license, including all necessary communication with the regulatory body.

## ᲦᲘᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲜᲒᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ

2023 წელს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა არასაბანკო ინსტიტუტებისთვის ღია ბანკინგში ჩართვის წესი, რომელიც ითვალისწინებს რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რათა რეგულირებადმა სუბიექტმა კლიენტის შესახებ საბანკო ინფორმაციაზე მიიღოს წვდომა. FIA დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს მომსახურების სრულ პაკეტს, რომელიც მოიცავს სანებართვო პროექტის შემუშავებიდან, ლიცენზიის მოპოვებამდე მთლიანი პროცესის მართვას, მათ შორის მარეგულირებელთან კომუნიკაციას.

## OPEN BANKING AUTHORIZATION SERVICE

In 2023, the National Bank of Georgia approved the regulation governing the participation of non-banking institutions in Open Banking. This framework requires regulated entities to meet specific criteria to gain access to client banking data. The FIA offers interested companies a complete service package to manage the entire authorization process, from the development of the compliance project to the acquisition of the permit, including communication with the regulator.





# თავმჯდომარის მიმართვა

# CHAIRMAN'S MESSAGE

ძვირფასო წევრებო,
პარტნიორებო და კოლეგებო,

როდესაც 2019 წელს, ტექ-ინდუსტრიის ლიდერებთან ერთად საქართველოს ფინტექ ასოციაციას (FIA) საფუძველი ჩავუყარეთ, ჩვენი მთავარი მიზანი იყო შეგვექმნა პლატფორმა, რომელიც გააერთიანებდა სექტორის ხმას და ხელს შეუწყობდა ინოვაციური ფინანსური სერვისების განვითარებას. დღეს, 2025 წლის შეჯამებისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით - ჩვენი ასოციაცია აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს მყარ პლატფორმად, რომელიც ხელს უწყობს დიალოგსა და თანამშრომლობას კერძო სექტორს, მარეგულირებელსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის.

განვლილი წელი გამორჩეული იყო დინამიკური ზრდით. ჩვენ შევეცადეთ საქართველოს ფინტექ ეკოსისტემა საერთაშორისო რუკაზე ღირსეულად წარმოგვეჩინა, ლონდონის ფინტექ კვირეულიდან დაწყებული, დუბაისა და სტამბოლის სამიტებით დამთავრებული. თუმცა, ჩვენი საქმიანობა მხოლოდ საზღვარგარეთული ვიზიტებით არ შემოიფარგლება.

ასოციაცია აქტიურად ცდილობს დაეხმაროს სტარტაპებსა და კომპანიებს ბაზარზე დამკვიდრებაში. ვირტუალური აქტივებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ლიცენზირების, ასევე ღია ბანკინგში ჩართვის მხარდაჭერით, ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ბაზარზე ახალი, ტექნოლოგიური მოთამაშეების შემოსვლას. სწორედ ეს კომპანიები ქმნიან იმ თანამედროვე და მოქნილ პროდუქტებს, რომლებიც ტრადიციულ ფინანსურ სექტორს ავსებს.

დღეს ჩვენი ოჯახი 34 წევრსა და 26 პარტნიორ კომპანიას აერთიანებს. ეს არ არის უბრალოდ ციფრები, ეს არის თანამოაზრეთა გუნდი, რომელსაც სჯერა, რომ თანამშრომლობით შესაძლებელია სექტორის წინსვლა. ჩვენი ჩართულობა ფინტექის განვითარების სტრატეგიასა და საკანონმდებლო ინიციატივებში ემსახურება FIA-ს უმთავრეს მისიას - იყოს ფინტექ სექტორის ინტერესების დამცველი და განვითარების ხელშემწყობი.

რა არის ჩვენი მიზანი მომავლისთვის? ჩვენ არ ვჩერდებით. მომავალ წელსაც ჩვენი ფოკუსი იქნება განათლება, საერთაშორისო შესაძლებლობების მოძიება და წევრების მხარდაჭერა. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ საქართველოში შეიქმნას კიდევ უფრო ინკლუზიური და ინოვაციური გარემო, სადაც ტექნოლოგია ფინანსებს ყველასთვის ხელმისაწვდომს გახდის.

მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს, ჩვენს წევრებსა და პარტნიორებს, ნდობისთვის და იმ ერთობლივი ძალისხმევისთვის, რომელიც ქართული ფინტექის განვითარებას უდევს საფუძვლად.

Dear Members, Partners, and Colleagues,

When we laid the foundation for the Fintech Association of Georgia (FIA) in 2019 alongside leaders of the tech industry, our primary objective was to establish a platform that would unify the voice of the sector and foster the development of innovative financial services. Today, as we summarize the achievements of 2025, we can confidently state that we have taken significant strides in this direction. Our Association is actively working to establish itself as a robust platform that facilitates dialogue and cooperation among the private sector, the regulator, and international partners.

The past year was distinguished by dynamic growth. We endeavored to represent the Georgian fintech ecosystem with dignity on the international map, spanning events from London Fintech Week to summits in Dubai and Istanbul. However, our activities are not limited solely to international engagements.

The Association actively strives to assist startups and companies in establishing themselves in the market. Through our support for licensing Virtual Asset and Payment Service Providers, as well as facilitating participation in Open Banking, our goal is to encourage the entry of new technological players into the market. It is precisely these companies that create the modern and agile products that complement the traditional financial sector.

Today, our family unites 34 members and 26 partner companies. These are not merely statistics but represent a team of like-minded individuals who believe that progress in the sector is achieved through cooperation. Our engagement in the fintech development strategy and legislative initiatives serves the core mission of the FIA to act as the defender of fintech sector interests and a facilitator of its development.

What is our goal for the future? We are not stopping here. In the coming year, our focus will remain on education, identifying international opportunities, and supporting our members. We will continue to work towards creating an even more inclusive and innovative environment in Georgia where technology makes finance accessible to everyone.
I extend my gratitude to each of you, our members and partners, for your trust and for the joint effort that forms the foundation of the development of Georgian fintech.

დავით კიკვიძე / DAVID KIKVIDZE

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე
Chairman of Fintech Association of Georgia

# ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ EVENTS

## ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡᲗᲐᲜ

2025 წელს საქართველოს ფინტექ ასოციაციამ ბრიტანეთის საელჩოსთან ერთად თბილისში ღონისძიებას უმასპინძლა, რომელსაც საქართველოს ფინანსური სექტორის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიება მნიშვნელოვანი პლატფორმა გახდა ინოვაციურ ქართულ კომპანიებთან ურთიერთობის გაღრმავებისა და დიდ ბრიტანეთთან სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვისთვის. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა შინაარსიანი დისკუსიები, დამყარდა ახალი პროფესიული კავშირები და გამოიკვეთა თანამშრომლობის პერსპექტიული.

## MEETING WITH THE BRITISH EMBASSY

In 2025, the Fintech Association of Georgia, in collaboration with the British Embassy, hosted an event in Tbilisi attended by key representatives of the Georgian financial sector. The gathering served as a vital platform for deepening relationships with innovative Georgian companies and exploring future cooperation opportunities with the United Kingdom. Within the framework of the meeting, insightful discussions were held, new professional connections were established, and promising directions for future collaboration were identified.








## UK FINTECH WEEK

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო UK Fintech Week 2025-ში, რომელიც ლონდონში გაიმართა და მსოფლიოს წამყვანი ფინტექ ლიდერები ფინანსური ინოვაციების მომავლის განსახილველად გააერთიანა. ასოციაციას ღონისძიებაზე წარმოადგენდნენ თავმჯდომარე დავით კიკვიძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლაშა ბზარაშვილი და საბჭოს წევრი შოთა კეკელია.

ღონისძიება მნიშვნელოვანი პლატფორმა გახდა საერთაშორისო ფინტექ საზოგადოებასთან კავშირების გაღრმავებისა და საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის გლობალურ დისკუსიებში წარმოჩენისთვის.

The Fintech Association of Georgia participated in UK Fintech Week 2025, held in London, which united the world's leading fintech figures to discuss the future of financial innovation. The Association was represented at the event by Chairman David Kikvidze, Supervisory Board Chairman Lasha Bzarashvili, and Supervisory Board Member Shota Kekelia.
The event served as a significant platform for deepening ties with the international fintech community and positioning the Georgian fintech ecosystem within global discussions.

## FORBES GEORGIA BANKING CONFERENCE

21 მაისს, Stamba Hotel-ში Forbes Georgia Banking Conference 2025 გაიმართა, რომელმაც 100-ზე მეტი ლიდერი გააერთიანა საბანკო და ფინტექ ინდუსტრიებიდან.
ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით კიკვიძემ, მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში თემაზე: „ბანკინგი გარდამავალ პერიოდში: ინოვაცია და ფინტექის როლი“.
კონფერენციის მიზანი იყო, მარეგულირებელი ჩარჩოების მუდმივი ცვლილებებისა და ტექნოლოგიური გარდატეხის პერიოდში, ფინანსური სექტორის წარმომადგენლებისთვის შეეთავაზებინა სიცხადე, ცოდნა და პლატფორმა პროგნოზებისა და შეხედულებების გასაზიარებლად.

On May 21st, the Forbes Georgia Banking Conference 2025 took place at Stamba Hotel, bringing together over 100 leaders from the banking and fintech industries.
David Kikvidze, Chairman of the Fintech Association, participated in a panel discussion on the topic "Banking in Transition: Innovation and the Role of Fintech."
The objective of the conference was to offer clarity and knowledge to financial sector representatives during a period of constant regulatory changes and technological disruption, while providing a platform for sharing forecasts and insights.








## AML ტრენინგი / AML TRAINING

2025 წლის 2 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით საქართველოს ფინტექ ასოციაციამ AML ტრენინგის მეორე სესია ჩაატარა. კურსის ფარგლებში სტუდენტებმა შეისწავლეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები, იდენტიფიკაციის პროცედურები და თანამედროვე ტექნოლოგიები. ლექციებს დარგის წამყვანი სპეციალისტები უძღვებოდნენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან და TechLaw Georgia-დან.

From June 2 to June 26, 2025, the Fintech Association of Georgia conducted the second session of its AML Training program. The course curriculum covered the legal foundations of anti-money laundering and counter-terrorist financing along with identification procedures and modern technologies. Lectures were delivered by leading specialists from the Financial Monitoring Service and TechLaw Georgia.

## ISTANBUL FINTECH WEEK 2025

11 - 12 ივნისს საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე მონაწილეობდა Istanbul Fintech Week 2025-ის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში თემაზე: „How once-disruptive fintech startups are maturing into established industry players.”

On June 11 and 12, David Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, participated in a panel discussion held within the framework of Istanbul Fintech Week 2025.
The panel was titled “How once-disruptive fintech startups are maturing into established industry players.”
The discussion also featured Volkan Kurtarici from Odeabank and Kutay Yalinkilinc from Pars VC. The panel explored the evolution of fintech companies and addressed challenges related to scaling, key development milestones, and new opportunities associated with growth.







## OPEN BANKING WORKSHOP 2025

17 ივნისს, International Finance Corporation-ისა და საქართველოს ფინტექ ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა Open Banking Workshop 2025, რომელსაც მხარი დაუჭირა Swiss State Secretariat for Economic Affairs-მ.
ვორქშოფმა გააერთიანა ბანკები, ფინტექ კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ტექნოლოგიური პროვაიდერები ღია საბანკო საქმიანობის ლიცენზირების მოთხოვნების, API უსაფრთხოების, ციფრული სერტიფიკატებისა და ტექნიკური ინტეგრაციის პრაქტიკული საკითხების განსახილველად.

On June 17, the Open Banking Workshop 2025 was held under the organization of the International Finance Corporation and the Fintech Association of Georgia, with support from the Swiss State Secretariat for Economic Affairs.
The workshop convened banks, fintech companies, microfinance organizations, and technology providers to discuss practical issues regarding Open Banking licensing requirements, API security, digital certificates, and technical integration.




## INNOVATIONS BEYOND BANKING | GLOBAL TECH WEEKEND TBILISI

საქართველოს ფინტექ ასოციაციის (FIA) ინიციატივითა და ორგანიზებით, Flitt-ისა და Keepz.me-ის მხარდაჭერით, Global Tech Weekend Tbilisi-ის ფარგლებში 20 ივნისს, Alte University-ის კამპუსში გაიმართა ტექნოლოგიური კვირეულის საიდ ივენთი - „Innovations Beyond Banking“. ღონისძიება მიეძღვნა ღია ბანკინგს, ფინანსურ ტექნოლოგიებსა და ინდუსტრიაში მიმდინარე ტრანსფორმაციულ ტენდენციებს.
FIA-ს მიერ დაგეგმილ პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ ფინტექ და საბანკო სექტორის წამყვანი წარმომადგენლები: პაპუნა ლეჟავა (Keepz.me), დავით კიკვიძე (საქართველოს ფინტექ ასოციაცია), თამარ ანთიძე (TBC), გიორგი კინწურაშვილი (Bank of Georgia), გიორგი ქუთათელაძე (Flitt) და მიხეილ კაპანაძე (საქართველოს საბანკო ასოციაცია). დისკუსიის მოდერატორი მარიამ რუსიშვილი (IFC, Lightspeed Digital) იყო.
ღონისძიებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა FIA-ს როლი როგორც ეკოსისტემის ლიდერისა და პლატფორმის შემქმნელის, რომელიც პარტნიორებთან ერთად აერთიანებს ინდუსტრიის საკვანძო მოთამაშეებს ცოდნის გაზიარებისა და სექტორის განვითარების მიზნით.

On June 20, the technological week side event titled “Innovations Beyond Banking” took place at the Alte University campus. Initiated and organized by the Fintech Association of Georgia (FIA) with the support of Flitt and Keepz.me, the event was dedicated to Open Banking, financial technologies, and current transformational trends within the industry.
The panel discussion planned by the FIA featured leading representatives from the fintech and banking sectors, including Papuna Lezhava (Keepz.me), David Kikvidze (Fintech Association of Georgia), Tamar Antidze (TBC), Giorgi Kintsurashvili (Bank of Georgia), Giorgi Kutateladze (Flitt), and Mikheil Kapanadze (Banking Association of Georgia). The discussion was moderated by Mariam Rusishvili (IFC, Lightspeed Digital).
This event further underscored the role of the FIA as an ecosystem leader and platform builder that unites key industry players to facilitate knowledge sharing and sector development.



## GLOBAL TECH WEEKEND TBILISI 2025 – MAIN EVENT: "SHAPING THE NEW ERA"

21 ივნისს Radio City-ში გამართულ GTW Tbilisi 2025-ის მთავარ ღონისძიებაზე სფეროს ლიდერებმა და საერთაშორისო სპიკერებმა ინოვაციებსა და ტექნოლოგიების მომავალზე ისაუბრეს.
პანელის "The Future of Payments and Open Banking: Building Seamless Financial Experiences" ფარგლებში, საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძემ სხვა ექსპერტებთან ერთად განიხილა, როგორ აყალიბებს ღია ბანკინგი და ციფრული გადახდები უფრო მარტივ და მომხმარებელზე მორგებულ ფინანსურ გამოცდილებას.

On June 21, industry leaders and international speakers discussed innovations and the future of technology at the main event of GTW Tbilisi 2025 held at Radio City.
During the panel titled "The Future of Payments and Open Banking: Building Seamless Financial Experiences," David Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, joined other experts to examine how Open Banking and digital payments are shaping simpler and more customer-centric financial experiences.



## FIA-ს ყოველწლიური გასვლითი ღონისძიება
## FIA'S ANNUAL OFFSITE EVENT

26 ივნისს, წალკაში, საქართველოს ფინტექ ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ბანკი-ის წარმომადგენლები და ფინტექ ასოციაციის წევრი კომპანიები. შეხვედრა დაეთმო ფინტექ ინდუსტრიის მიმდინარე მიღწევების, რეგულაციური გარემოსა და განვითარების სამომავლო მიმართულებების განხილვას.

საგადახდო მომსახურებებისა და ვირტუალური აქტივების რეგულირების მიმოხილვასთან ერთად, ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა ასოციაციის წევრებს გააცნეს საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია და მარეგულირებლის ხედვა. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები მოიცავს ფინტექ ეკოსისტემის განვითარებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, ინოვაციური და ინკლუზიური ფინანსური სერვისების ხელშეწყობას, ასევე საქართველოს რეგიონულ ფინტექ ჰაბად პოზიციონირებას.

შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსია საქართველოსა და საერთაშორისო ფინტექ ბაზრებზე არსებულ ტენდენციებზე, სექტორის წინსვლასა და რეგულაციურ სიახლეებზე. ღონისძიება კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ფინტექ ასოციაციის როლი როგორც პლატფორმის შემქმნელის, რომელიც აძლიერებს დიალოგს საჯარო და კერძო სექტორებს შორის და ხელს უწყობს ფინტექ ეკოსისტემის მდგრად განვითარებას.

On June 26, the Fintech Association of Georgia organized a workshop in Tsalka that brought together representatives from the National Bank of Georgia and FIA member companies. The meeting focused on reviewing current industry achievements, the regulatory landscape, and future development directions.

In addition to an overview of regulations regarding payment services and virtual assets, representatives from the National Bank introduced the Fintech Development Strategy of Georgia and the regulator's vision to association members. Key directions of the strategy include developing the fintech ecosystem, strengthening international cooperation, promoting innovative and inclusive financial services, and positioning Georgia as a regional fintech hub.

A discussion was held regarding trends in Georgian and international fintech markets, sector progress, and regulatory updates. This event reaffirmed the role of the Fintech Association as a platform creator that strengthens the dialogue between the public and private sectors while fostering the sustainable development of the fintech ecosystem.



## NETWORKING GEORGIA 2025

2025 წლის 2 - 3 ოქტომბერს წინანდლის მამულში გაიმართა Networking Georgia 2025 - ორდღიანი ნეთვორქინგ ღონისძიება, რომელმაც სხვადასხვა ინდუსტრიის წარმომადგენლები გააერთიანა გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების განსახილველად.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა 6 სპიკერის გამოსვლა, ჩატარდა 6 პარალელური ვორქშოფი თემაზე Art of Networking, ასევე განხორციელდა სხვადასხვა ინტერაქტიული აქტივობა პარტნიორი კომპანიების ჩართულობით. Networking Georgia 2025-ში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით კიკვიძემ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს FIA-ს ჩართულობას სექტორთაშორისი დიალოგისა და პროფესიული კავშირების გაძლიერებაში.

From October 2 to 3, 2025, the Tsinandali Estate hosted Networking Georgia 2025, a two-day event that united representatives from various industries to share experiences and explore new cooperation opportunities.
The event program featured speeches by six speakers and six parallel workshops on the Art of Networking, along with various interactive activities involving partner companies. David Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, participated in Networking Georgia 2025, underscoring the commitment of the FIA to strengthening cross-sector dialogue and professional connections.






## TOUCH SUMMIT 25

2025 წლის 5 - 6 დეკემბერს თბილისში გაიმართა Touch Summit 2025, რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ღონისძიება, რომელიც ჩატარდა საქართველოს ბანკის მხარდაჭერით.
ღონისძიების სპიკერებს შორის იყო საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე. Touch Summit 2025 - მა გააერთიანა 1,000 - ზე მეტი დელეგატი 10 ქვეყნიდან და 60 - ზე მეტი საერთაშორისო სპიკერი, მათ შორის გლობალური ტექნოლოგიური კომპანიებისა და ინოვაციური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

On December 5 and 6, 2025, Tbilisi hosted Touch Summit 2025, one of the most significant technological events in the region, held with the support of the Bank of Georgia. David Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, was among the featured speakers. Touch Summit 2025 brought together over 1,000 delegates from 10 countries and featured more than 60 international speakers, including representatives from global technology companies and innovative organizations.

# ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ

# IMPORTANT NEWS



## ᲤᲘᲜᲢᲔᲥᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2025 წლის 8 მაისს ფინტექის განვითარების ეროვნული სტრატეგიის მეორე სამუშაო ვერსია გამოაქვეყნა. საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგიის მიზანია, შექმნას ერთიანი ეროვნული ჩარჩო, რომელიც გააძლიერებს თანამშრომლობას შესაბამის საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა ერთობლივი და კოორდინირებული ძალისხმევა უზრუნველყოს ინკლუზიური და ინოვაციური ფინტექ ეკოსისტემის ხელშეწყობისთვის.

## NATIONAL STRATEGY FOR FINTECH DEVELOPMENT

On May 8, 2025, the National Bank of Georgia released the second working draft of the National Fintech Development Strategy. The objective of this strategy is to establish a unified national framework that fortifies collaboration among relevant public and private stakeholders, both domestically and internationally. This initiative aims to ensure a joint and coordinated effort to foster an inclusive and innovative fintech ecosystem.


საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია

კონცეპტუალური დოკუმენტი საჯარო კონსულტაციისთვის

(მეორე სამუშაო ვერსია)

## ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ WORLD BANK GROUP-ᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე, დავით კიკვიძე, World Bank Group-ის მიერ იქნა აღიარებული B-READY 2025-ის ფლაგმანური ანგარიშის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის. მისი პროფესიული ხედვები მნიშვნელოვანი იყო ანგარიშის ფორმირების პროცესში.

ეს აღიარება ხაზს უსვამს საქართველოს ფინტექ სექტორის ჩართულობას რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკის დისკუსიებში.




## RECOGNITION BY THE WORLD BANK GROUP

David Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, was recognized by the World Bank Group for his contribution to the preparation of the flagship B-READY 2025 report. His professional insights played a significant role in the formation process of the report.

This acknowledgment underscores the active engagement of the Georgian fintech sector in regional and international policy discussions.

## CROWDFUNDING-ᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲡᲢᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

2025 წლის 17 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში equity crowd-funding - ის სატესტო პროექტის დაწყება გამოაცხადა.

ინიციატივა მიზნად ისახავს წილობრივი სახალხო დაფინანსების ბიზნეს-მოდელების რეალურ, მაგრამ კონტროლირებად გარემოში გამოცდას და წარმოადგენს მოსამზადებელ ეტაპს საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო და რეგულატორული ჩარჩოს ჩამოყალიბებისთვის.

## LAUNCH OF CROWDFUNDING PILOT PROJECT IN THE REGULATORY LABORATORY

On April 17, 2025, the National Bank of Georgia announced the launch of an equity crowdfunding pilot project within its Regulatory Laboratory.

This initiative aims to test equity crowdfunding business models in a real yet controlled environment. It serves as a preparatory stage for the establishment of the appropriate legislative and regulatory framework in Georgia.

## A.I. სენდბოქსის სატესტო პროექტის დაწყება

2025 წლის 9 ივნისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში A.I. სენდბოქსის სატესტო პროექტი დაიწყო, რომლის მიზანია ფინანსურ სექტორში ხელოვნური ინტელექტისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების უსაფრთხო და რეგულირებული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ინიციატივა ქმნის კონტროლირებად გარემოს ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტების ტესტირებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის გაძლიერების მიმართულებით.

## LAUNCH OF AI SANDBOX PILOT PROJECT

On June 9, 2025, the National Bank of Georgia initiated an AI Sandbox pilot project within the framework of its Regulatory Laboratory. The objective is to facilitate the safe and regulated integration of artificial intelligence and other modern technologies into the financial sector.

This initiative creates a controlled environment for testing and developing innovative technological solutions and represents a significant step toward strengthening the Georgian fintech ecosystem.

## ცვლილება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციისა და რეგულირების წესში

2025 წლის 27 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ცვლილება შეიტანა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციისა და რეგულირების წესში, რომლის მიზანი მომხმარებელთა ინფორმირებულობისა და გამჭვირვალობის გაზრდა იყო. ცვლილების შესაბამისად, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები ვალდებულნი გახდნენ, მომსახურების გაწევის ყველა არხში მომხმარებლისთვის თვალსაჩინოდ განათავსონ ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნული ცვლილება ემსახურება მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ვირტუალური აქტივების ბაზარზე ლეგიტიმური საქმიანობის გამარტივებულ იდენტიფიცირებას და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებას ეროვნული ბანკის საზედამხედველო მანდატის ფარგლებში. რეგულირების განახლებული წესი ამოქმედდა 2026 წლის 1 იანვრიდან.

## AMENDMENTS TO THE RULE ON REGISTRATION AND REGULATION OF VIRTUAL ASSET SERVICE PROVIDERS

On November 27, 2025, the National Bank of Georgia introduced amendments to the Rule on Registration and Regulation of Virtual Asset Service Providers (VASPs) with the aim of increasing consumer awareness and transparency. In accordance with the amendment, VASPs are now required to prominently display their registration document issued by the National Bank across all service delivery channels.

This change serves to protect consumer interests, facilitate the identification of legitimate activities in the virtual asset market, and strengthen the regulatory framework within the supervisory mandate of the National Bank. The updated regulation entered into force on January 1, 2026.



# ახალი წევრები
# NEW MEMBERS

დღეს საქართველოში 60-მდე ფინტექ კომპანია ოპერირებს, მიუხედავად მცირე რაოდენობისა, ქართული ფინტექ ეკოსისტემა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბაზარზე წარმოდგენილნი არიან ფინტექის თითქმის ყველა მიმართულების კომპანია, რაც ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დარგის განვითარების თვალსაზრისით.

ქართული ფინტექ ბაზრის უმსხვილესი წარმომადგენლები საქართველოს ფინტექ ასოციაციის წევრები არიან და დღეს ასოციაცია 34 ფინტექ კომპანიას აერთიანებს. 2025 წლის განმავლობაში ასოციაციაში გაწევრიანდა 5 ფინტექ კომპანია. მათ შორის:

Currently, approximately 60 fintech companies operate within Georgia. Despite this quantitative scale, the Georgian fintech ecosystem is distinguished by its remarkable diversity. Companies representing nearly every vertical of fintech are present in the market, a factor we consider crucial for the comprehensive development of the industry.

The largest representatives of the Georgian fintech market are members of the Fintech Association of Georgia, which today unites 34 fintech companies. During 2025, five new fintech companies joined the Association, including:

**Monrem** (https://monrem.ge/ka/mthavari/) - კომპანია მონრემი ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერია, რომელიც მომხმარებელს უსაფრთხო, მოქნილი და ეფექტური საგადახდო სისტემების დანერგვაში ეხმარება.

Monrem is a Payment Service Provider licensed by the National Bank. It assists customers in implementing secure, agile, and effective payment systems.

**Coinmania** (https://coinmania.ge/) - ვირტუალური აქტივის მომსახურების ლიცენზირებული პროვაიდერი და ერთ-ერთი პირველი კრიპტობირჟა ქართულ ბაზარზე. კომპანია 2017 წლიდან სთავაზობს მომხმარებლებს სანდო და მარტივად გამოსაყენებელ კრიპტოსაფულესა და ბირჟის სერვისებს. Coinmania-ს მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ კრიპტოვალუტით გადახდა ონლაინ და ფიზიკურ ობიექტებში.

Coinmania is a licensed Virtual Asset Service Provider and one of the pioneering crypto exchanges on the Georgian market. Since 2017, the company has offered users a reliable and easy-to-use crypto wallet and exchange services. Furthermore, Coinmania users can utilize cryptocurrency for payments at both online and physical locations.



**Kursi.ge** (https://kursi.ge/ka/) - ინოვაციური პლატფორმაა, რომელიც ვალუტის კონვერტაციას ონლაინ, საუკეთესო კურსით და მხოლოდ რამდენიმე წუთში შესაძლებელს ხდის. ფინტექ ეკოსისტემას უერთდება სერვისი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მარტივად და სწრაფად გადაცვალონ თანხა - ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან.

Kursi.ge is an innovative platform that makes online currency conversion possible at the best rates in just a few minutes. This service joins the fintech ecosystem to allow users to exchange funds simply and quickly at any time and from any location.

**Fastoo** (https://fastoo.com/) - პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მომენტალურ გადარიცხვებსა და გადახდებს საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით. პლატფორმა აერთიანებს ელექტრონულ საფულეს და აგრეთვე არის საგადახდო სისტემის პროვაიდერი.

Fastoo is a platform that ensures instant transfers and payments across Georgia and globally. The platform integrates an electronic wallet and also functions as a payment system provider.

**ALLTRUST.ME** (https://alltrust.me/en/) - არის საქართველოში ოფიციალურად ლიცენზირებული კრიპტოვალუტის გაცვლის სერვისი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს კრიპტოს შეძენა-გაყიდვის სწრაფ, უსაფრთხო და მომგებიან გზას.

AllTrust.me is an officially licensed cryptocurrency exchange service in Georgia that offers users a fast, secure, and profitable way to buy and sell crypto.

# ახალი პარტნიორები
# NEW PARTNERS

საქართველოს ფინტექ ასოციაცია 2025 წლის განმავლობაში დარგის განვითარების ჭრილში აქტიურად მუშაობდა ასევე სეგმენტურ ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებში გაგრძელდა თანამშრომლობა სხვადასხვა კომპანიებთან, გაფორმდა ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მნიშვნელოვან პარტნიორებთან და გავხდით რამდენიმე მნიშვნელოვანი ფინტექ კონფერენციის პარტნიორი / ქომუნითი პარტნიორი. მათ შორის: Agora Fintech, Baltic Payment Forum 2025, Dubai Fintech Summit, Istanbul Fintech Week 2025, FINTEX SUMMIT BAKU 2025, Tbilisi Finance Summit, DEF-AI 2025 და ა.შ.

Throughout 2025, the Fintech Association of Georgia actively collaborated with sectoral organizations to foster industry development. Within this framework, we continued cooperation with various companies and formalized new Memoranda of Understanding with key partners. Furthermore, we secured partner or community partner status for several prominent fintech conferences, including Agora Fintech, Baltic Payment Forum 2025, Dubai Fintech Summit, Istanbul Fintech Week 2025, FINTEX SUMMIT BAKU 2025, Tbilisi Finance Summit, DEF-AI 2025, and others.




## Baltic Payment Forum 2025

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ 2025 წელს პარტნიორობა დაამყარა Baltic Payment Forum 2025-თან - გადახდებისა და ფინტექ ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო ღონისძიებასთან. ფორუმი 2025 წლის 5 მარტს გაიმართა ვილნიუსში, ლიტვაში, Radisson Blu Hotel Lietuva-ში და გააერთიანა 300-ზე მეტი ინდუსტრიის ლიდერი 30-ზე მეტი ქვეყნიდან. ღონისძიების ფარგლებში განხილული იყო გადახდების ეკოსისტემაში მიმდინარე ინოვაციები, რეგულაციური გარემო და სექტორის განვითარების სამომავლო ტენდენციები.

In 2025, the Fintech Association of Georgia established a partnership with the Baltic Payment Forum 2025, which is recognized as one of the leading international events in the payments and fintech industry.
The forum took place on March 5 in Vilnius, Lithuania, at the Radisson Blu Hotel Lietuva. It united over 300 industry leaders from more than 30 countries. The event agenda covered ongoing innovations in the payments ecosystem, the regulatory environment, and future trends in sector development.






## FinTech & Crypto Week 2025

საქართველოს ფინტექ ასოციაცია 2025 წელს FinTech & Crypto Week 2025-ს შეუერთდა - ცენტრალური აზიის ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო ფორუმს ფინტექის, კრიპტოაქტივებისა და ციფრული ფინანსების მიმართულებით. ღონისძიება 16 - 19 აპრილს ტაშკენტში, გაიმართა.
ღონისძიების ორგანიზატორებს შორის არიან Axioma School, PraeLegal Uzbekistan და Heemera. 2025 წელს ფორუმს ერთ-ერთ პირველ სპონსორად შეუერთდა Binance.

The Fintech Association of Georgia joined FinTech & Crypto Week 2025, a premier international forum in Central Asia dedicated to fintech, crypto assets, and digital finance. The event was held from April 16 to 19 in Tashkent. The organizers included Axioma School, PraeLegal Uzbekistan, and Heemera. Notably, Binance joined the forum as one of the primary sponsors in 2025.

## Agora Fintech

2025 წლის დასაწყისში საქართველოს ფინტექ ასოციაციამ Agora Fintech-თან, თურქეთის უდიდეს ფინტექ გამოფენასა და კონფერენციასთან, პარტნიორობა დაიწყო.

2025 წლის 17-19 აპრილს, სტამბოლში, Agora Fintech-მა EXPOHIS - ისა და TÖDEB - თან ერთად, სამდღიან კონფერენციას უმასპინძლა. ღონისძიებამ გააერთიანა წარმყვარი ფინანსური ინსტიტუტები, საგადახდო სისტემის პროვაიდერები, სამთავრობო და მარეგულირებელი ინსტიტუტები და ინოვაციური ფინტექ სტარტაპები.

At the beginning of 2025, the Fintech Association of Georgia initiated a partnership with Agora Fintech, the largest fintech exhibition and conference in Turkey.

From April 17 to 19 in Istanbul, Agora Fintech hosted a three-day conference in collaboration with EXPOHIS and TÖDEB. The event brought together leading financial institutions, payment system providers, governmental and regulatory bodies, and innovative fintech startups.






## Dubai Fintech Summit

საქართველოს ფინტექ ასოციაცია 2025 წელს Dubai FinTech Summit-ს პარტნიორის სტატუსით შეუერთდა. წლევანდელი სამიტი, რომელიც 12 - 13 მაისს დუბაიში გაიმართა, ჩატარდა თემით „FinTech for All“ და იყო ერთ-ერთი უმსხვილესი გლობალური პლატფორმა ფინტექ ინდუსტრიისთვის.
ღონისძიებამ გააერთიანა 8,000 - ზე მეტი C-level ლიდერი, 1,000 - ზე მეტი ინვესტორი, 300 - ზე მეტი საერთაშორისო სპიკერი, 200 - ზე მეტი გამოფენა, 100 - ზე მეტი მედია და სტრატეგიული პარტნიორი, ასევე 100 - ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი.

The Fintech Association of Georgia joined the Dubai FinTech Summit in 2025 with the status of a partner. Held on May 12 and 13 in Dubai, this year's summit was conducted under the theme "FinTech for All" and served as one of the largest global platforms for the industry. The event brought together over 8,000 C-level leaders, more than 1,000 investors, over 300 international speakers, 200 exhibitors, and more than 100 media and strategic partners representing over 100 countries.

## Istanbul Fintech Week 2025

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ 2025 წელს პარტნიორობა დაამყარა Istanbul Fintech Week 2025 - თან, ფინტექ ინდუსტრიის ერთ - ერთ წამყვან საერთაშორისო პლატფორმასთან. ღონისძიება 11 - 12 ივნისს გაიმართა სტამბოლში და იყო გლობალური ჰაბი ფინტექ ინოვაციებისა და თანამშრომლობისთვის.

Istanbul Fintech Week წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა მასშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებად, რომელიც აერთიანებდა 14,000 - ზე მეტ მონაწილეს 60 - ზე მეტი ქვეყნიდან, 500 - ზე მეტ სპიკერს, 1,200 - ზე მეტ B2B შეხვედრასა და მილიონობით ონლაინ მაყურებელს. ღონისძიების ფარგლებში განხილულ იყო Web3 და ციფრული ფინანსები, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ფინანსებში, Trade-Tech, ბიზნესზე ორიენტირებული ფინტექ გადაწყვეტილებები და ქალთა როლი ფინტექ სექტორში.

In 2025, the Fintech Association of Georgia established a partnership with Istanbul Fintech Week 2025, a leading international platform for the industry. The event took place on June 11 and 12 in Istanbul, serving as a global hub for fintech innovation and collaboration.

Over the years, Istanbul Fintech Week has evolved into a large-scale international event that has convened more than 14,000 participants from over 60 countries, 500 speakers, and over 1,200 B2B meetings, reaching millions of online viewers. Discussions within the framework of the event covered Web3 and digital finance, the application of artificial intelligence in finance, TradeTech, business-oriented fintech solutions, and the role of women in the fintech sector.









## UNCHAIN Fintech Festival 2025

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ 2025 წელს პარტნიორობა დაამყარა UNCHAIN Fintech Festival 2025-თან - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფინტექ ღონისძიებასთან. ფესტივალი 17 - 18 ივნისს გაიმართა ორადეაში, რუმინეთში და გააერთიანა ფინტექ სექტორის ლიდერები, სტარტაპები და ინვესტორები.

The Fintech Association of Georgia established a partnership with the UNCHAIN Fintech Festival 2025, a significant fintech event for Central and Eastern Europe. The festival was held on June 17 and 18 in Oradea, Romania, and it united leaders of the fintech sector along with startups and investors.

## FINTEX SUMMIT BAKU 2025

2025 წლის 24 - 25 ივნისს ბაქოში FINTEX SUMMIT BAKU 2025, რეგიონში ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფინტექ ღონისძიება გაიმართა, რომელიც სტეიკჰოლდერებმა საბანკო და ფინანსური ეკოსისტემის ახალ ტენდენციები, ინოვაციური გადაწყვეტილებები განიხილეს ფინტექ სფეროში.

ღონისძიება იყო მნიშვნელოვანი პლატფორმა საერთაშორისო ფინტექ საზოგადოებასთან კავშირების გაღრმავებისა და სექტორში მიმდინარე გლობალური ტენდენციების პარტნიორობა ხელს უწყობს საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, რეგულაციურ დიალოგსა და ცოდნის გაზიარებას რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

On June 24 and 25, 2025, FINTEX SUMMIT BAKU 2025 was held in Baku. Recognized as a significant regional fintech event, it allowed stakeholders to discuss emerging trends within the banking and financial ecosystem alongside innovative solutions in the fintech sphere.

The event served as a vital platform for deepening connections with the international fintech community and addressing global trends current in the sector.

This partnership fosters the strengthening of international cooperation for the Georgian fintech ecosystem while promoting regulatory dialogue and knowledge sharing at both regional and global levels.



## DEF-AI 2025

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ 2025 წელს ახალი სტრატეგიული პარტნიო რობა დაამყარა DGFI-თან ციფრული ფინანსებისა და ხელოვნური ინტელექტის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის, DEF-AI 2025 -ის ფარგლებში, რომელიც 19 სექტემბერს თბილისში გაიმართა.
DEF-AI 2025 წარმოადგენს რეგიონში ერთ - ერთ ყველაზე მასშტაბურ პლატფორმას და ფოკუსირებულია ციფრული ფინანსების განვითარების მომავალზე, ბლოკჩეინისა და ტოკენიზაციის ახალ შესაძლებლობებზე, ასევე ხელოვნური ინტელექტის გავლენაზე ბიზნესსა და საზოგადოებაზე. ღონისძიების გენერალური სპონსორი იყო Tether, ხოლო პარტნიორებს შორის იყვნენ საქართველოს ეროვნული ბანკი, Amazon, Mastercard და 500 Global.

In 2025, the Fintech Association of Georgia established a new strategic partnership with DGFI within the framework of DEF-AI 2025, the fourth international conference on digital finance and artificial intelligence, which took place on September 19 in Tbilisi.
DEF-AI 2025 represents one of the most large-scale platforms in the region and focuses on the future development of digital finance, new opportunities in blockchain and tokenization, and the impact of artificial intelligence on business and society. The general sponsor of the event was Tether, while partners included the National Bank of Georgia, Amazon, Mastercard, and 500 Global.







## Fintech Moldova Conference 2025

საქართველოს ფინტექ ასოციაცია 2025 წელს Community Partner-ის სტატუსით შეუერთდა Fintech Moldova Conference 2025-ს, რომელიც 3 ოქტომბერს კიშინიოვში, Digital Park-ში გაიმართა. ღონისძიება ჩატარდა Mastercard-ისა და maib-ის მხარდაჭერით. კონფერენცია იყო მნიშვნელოვანი რეგიონული პლატფორმა ფინტექ ინოვატორების, ბანკების, მარეგულირებლებისა და ინდუსტრიის ლიდერების დასაკავშირებლად და ხელი შეუწყო საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის რეგიონულ ქსელებში ინტეგრაციას.

In 2025, the Fintech Association of Georgia joined the Fintech Moldova Conference 2025 with the status of Community Partner. The event was held on October 3 at Digital Park in Chisinau with the support of Mastercard and maib.

The conference served as a significant regional platform for connecting fintech innovators, banks, regulators, and industry leaders, thereby facilitating the integration of the Georgian fintech ecosystem into regional networks.



## Tbilisi Finance Summit

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ 2025 წელს პარტნიორობა დაამყარა Global Finance and Technology Network-თან Tbilisi Finance Summit-ის პირველი გამოშვების ფარგლებში, რომელიც 22 - 23 ოქტომბერს გაიმართა.

სამიტი ჩატარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პარტნიორობით და გააერთიანა ფინანსური სექტორის ლიდერები და გადაწყვეტილები მიმღები პირები. ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა ფინანსურ სექტორში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის ტრანსსასაზღვრო რეგულირების ახალი მოდელები, ტოკენიზაცია, პროგრამირებადი გადახდები, სტეიბლკოინები და საქართველოს როლი „შუა დერეფნის“ ფარგლებში რეგიონული ფინანსური კავშირების ფორმირებაში.

In 2025, the Fintech Association of Georgia established a partnership with the Global Finance and Technology Network within the framework of the inaugural edition of the Tbilisi Finance Summit, which took place on October 22 and 23.

The summit was conducted in partnership with the National Bank of Georgia and the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, uniting financial sector leaders and decision makers. Discussions within the event covered critical issues current in the financial sector, including new models of cross-border regulation, tokenization, programmable payments, stablecoins, and the role of Georgia in forming regional financial connections within the Middle Corridor.



## IX International Banking Forum 2025 (IBF 2025)

საქართველოს ფინტექ ასოციაცია IX International Banking Forum 2025-ის პარტნიორია, რომელიც 2025 წლის 19 - 20 ნოემბერს ბაქოში, Baku Marriott Hotel Boulevard-ში ჩატარდა. ფორუმი გაიმართა Mastercard - თან პარტნიორობით და წლევანდელი თემა „Reliable, Safe, and Sustainable Banking“ იყო.

ღონისძიებამ გააერთიანა რეგიონში მოქმედი ბანკების ხელმძღვანელები, მარეგულირებლები, ფინტექ ინოვატორები და საერთაშორისო ექსპერტები საბანკო სექტორის მომავლის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების საკითხების განსახილველად. ფორუმი იყო მნიშვნელოვანი რეგიონული პლატფორმა დიალოგისა და თანამშრომლობისთვის ფინანსური ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით.

The Fintech Association of Georgia is a partner of the IX International Banking Forum 2025, which was held on November 19 and 20, 2025, at the Baku Marriott Hotel Boulevard in Baku. The forum was conducted in partnership with Mastercard under this year's theme of "Reliable, Safe, and Sustainable Banking."

The event brought together executives of banks operating in the region, regulators, fintech innovators, and international experts to discuss the future of the banking sector, security, and sustainable development issues. The forum served as an important regional platform for dialogue and cooperation regarding the development of the financial ecosystem.







## Touch Summit 25

საქართველოს ფინტექ ასოციაცია 2025 წელს ქომუნითი პარტნიორის სტატუსით შეუერთდა Touch Summit 25-ს, რომელიც 5 - 6 დეკემბერს თბილისში გაიმართა. ღონისძიება იყო ერთ - ერთი მნიშვნელოვანი რეგიონული პლატფორმა ტექნოლოგიების, ინოვაციების, კრეატიულობისა და განათლების მიმართულებით.

წლევანდელი თემა, „Sparkle the Change“, ფოკუსირებული იყო იმ მცირე იდეებსა და ინიციატივებზე, რომლებიც გრძელვადიან სისტემურ ცვლილებებს უდებს საფუძველს. მთავარი ღონისძიება 5 დეკემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართა, ხოლო 6 დეკემბერს სხვადასხვა საიდ ივენთები ჩატარდა სპეციალურად შერჩეულ ლოკაციებზე.

Touch Summit 25 - მა გააერთიანა 60 - ზე მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი სპიკერი 10 - ზე მეტი ქვეყნიდან და მოიცვა keynote გამოსვლები, პანელური დისკუსიები, ვორქშოფები, Startup Expo და Pitch Competition - ები. FIA-ს ჩართულობა აღნიშნულ ღონისძიებაში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ასოციაციის მხარდაჭერას ინოვაციების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ეკოსისტემური თანამშრომლობის მიმართ.

In 2025, the Fintech Association of Georgia joined Touch Summit 25 with the status of Community Partner. Held on December 5 and 6 in Tbilisi, the event was a significant regional platform for technology, innovation, creativity, and education.
This year's theme, "Sparkle the Change," focused on the small ideas and initiatives that lay the foundation for long-term systemic changes. The main event took place on December 5 at the Rustaveli Theatre, while various side events were held on December 6 at specifically selected locations.
Touch Summit 25 united over 60 international and local speakers from more than 10 countries and included keynote speeches, panel discussions, workshops, a Startup Expo, and Pitch Competitions. The engagement of the FIA in this event further emphasizes the support of the Association for innovation, technological development, and ecosystem collaboration.




## APIX Platform

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ 2025 წელს განაახლა პარტნიორობა APIX Platform - თან, რომლის მიზანია საქართველოს ფინტექ საზოგადოების დაკავშირება გლობალურ შესაძლებლობებთან, პარტნიორებთან და ინოვაციურ პროგრამებთან.
განახლებული თანამშრომლობის ფარგლებში, მხარეები გააგრძელებენ ერთმანეთის მხარდაჭერას საერთაშორისო პლატფორმებზე საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის ცნობადობის გასაძლიერებლად. პარტნიორობა ასევე უზრუნველყოფს ქართულ ფინტექ კომპანიებისთვის წვდომას APIX-ის მიერ ორგანიზებულ ინოვაციურ გამოწვევებზე, ჰაკათონებსა და წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების პროგრამებზე, ხოლო გამორჩეული ქართული ფინტექ გადაწყვეტილებები წარმოდგენილი იქნება APIX-ის გლობალურ ქსელში.

In 2025, the Fintech Association of Georgia renewed its partnership with the APIX Platform with the aim of connecting the Georgian fintech community with global opportunities, partners, and innovative programs.
Within the framework of this renewed cooperation, the parties will continue to support one another on international platforms to strengthen the visibility of the Georgian fintech ecosystem. The partnership also ensures access for Georgian fintech companies to innovative challenges, hackathons, and programs organized by APIX and leading financial institutions, while distinguished Georgian fintech solutions will be showcased within the APIX global network.

# ბაზრის ახალი მოთამაშეები
# NEW MARKET PLAYERS

2025 წელი საკმაოდ დატვირთული იყო ლიცენზირების გაცემის საკითხშიც. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბოლო 1 წლის განმავლობაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერის 2, ხოლო ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერის 12 ლიცენზია გასცა. მათ შორის იყვნენ აზრი ფეი, ინვოო ფეი, უნოტრონ, მატიო, სტელექსი, კრიპტოქს, სპორტ ექსჩეინჯი, სითი ფეი, კრიპტო ჩენჯ ბათუმი, ბითრასთ, გაუს კრიპტო, კოინერო, ინვოო ჩეინ, აი იკს აი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წლის განმავლობაში 4 კომპანიას მისცა უფლება ჩართულიყვნენ ღია ბანკინგში, მათ შორისაა ფლიტი, ვერტო, ვიფ ფეი და მულტი პრაიმი.
მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ კომპანია ვერტოს, რომელმაც 2025 წელს ღია ბანკინგში ჩართვის  უფლება მიიღო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებას საქართველოს ფინტექ ასოციაცია უწევდა. კომპანია წარმოადგენს ღია ბანკინგის სისტემაში ჩართულ ონლაინ პლატფორმას, რომელიც თავის მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, ელექტრონულად განახორციელონ ვალუტის გაცვლითი ოპერაციები მათთვის მისაღებ / კონკურენტულ გაცვლით კურსში.

The year 2025 was marked by significant activity in the licensing domain. Over the past year, the National Bank of Georgia issued two Payment Service Provider licenses and twelve Virtual Asset Service Provider licenses. The recipients of these licenses included Azri Pay, Invoo Pay, Unotron, Matio, Stelex, Cryptox, Sport Exchange, City Pay, Crypto Change Batumi, Bitrust, Gaus Crypto, Coinero, Invoo Chain, and I X I.
It is also noteworthy that during the year, the National Bank of Georgia granted four companies authorization to participate in Open Banking, including Flitt, Verto, Wif Pay, and Multi Prime.
We are pleased to announce that the Fintech Association of Georgia provided legal and consulting services to Verto, which received authorization to join Open Banking in 2025. The company represents an online platform integrated into the Open Banking system that offers its users the opportunity to electronically execute currency exchange operations at acceptable and competitive exchange rates.

# სამომავლო გეგმები
# FUTURE PLANS

მომავალ წელსაც საქართველოს ფინტექ ასოციაციის ერთ - ერთ მთავარ პრიორიტეტად დარჩება ახალი წევრების მიღება, რაც ხელს შეუწყობს დარგის საერთო ინტერესების ლობირებასა და დაცვას. ამასთან, ასოციაცია გააგრძელებს თანამშრომლობის გაღრმავებას ახალ პარტნიორ ორგანიზაციებთან და ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს ფინტექ ასოციაცია მომავალ წელსაც გეგმავს აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო ფინტექ კონფერენციებსა და ფორუმებში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ასოციაციის წევრი კომპანიებისთვის. აღნიშნული ჩართულობა მიზნად ისახავს ახალი პროფესიული კონტაქტების დამყარებას და მათი შემდგომი თანამშრომლობის პრაქტიკულ რეალიზაციას.

მომავალი წლის პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა საგანმანათლებლო პროექტების ინიცირებას. გასულ წელს განხორციელებული AML ტრენინგის მეორე ნაკადმა მაღალი ინტერესი და პოზიტიური გამოხმაურება მოიპოვა, რის საფუძველზეც ასოციაცია გეგმავს აღნიშნული პრაქტიკის გაგრძელებასა და შემდგომ განვითარებას.

2026 წლის ერთ - ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ცნობადობის ამაღლება ფინანსური განათლებისა და ფინტექის მიმართულებით. ამ კუთხით საქართველოს ფინტექ ასოციაცია გეგმავს საგრანტო პროგრამების განხორციელებას, საჯარო ლექციების ორგანიზებას ქართული უნივერსიტეტებისთვის, ასევე მონაწილეობის მიღებას ადგილობრივ და საერთაშორისო ფინტექ კონფერენციებში. აღნიშნული ინიციატივებით ასოციაცია მიზნად ისახავს კიდევ უფრო გააძლიეროს სექტორის ცნობადობა და მისი მნიშვნელობა ფართო საზოგადოებისთვის.

In the coming year, the recruitment of new members will remain a primary priority for the Fintech Association of Georgia, an objective that facilitates the lobbying and protection of the sector's common interests. Furthermore, the Association will continue to deepen cooperation with new partner organizations and sign new Memoranda of Understanding at both local and international levels.

The Fintech Association of Georgia plans to maintain active participation in international fintech conferences and forums in the coming year, particularly in countries that are strategically important for our member companies. This engagement aims to establish new professional contacts and ensure their subsequent translation into practical cooperation.

Initiating educational projects will occupy a significant place among the priorities for the upcoming year. The second stream of AML training conducted last year garnered high interest and positive feedback, forming the basis for the Association's plans to continue and further develop this practice.

Raising awareness regarding financial education and fintech remains a key challenge for 2026. In this regard, the Fintech Association of Georgia plans to implement grant programs, organize public lectures for Georgian universities, and participate in local and international fintech conferences. Through these initiatives, the Association aims to further strengthen sector awareness and emphasize its importance to the general public.

კონტაქტი Contact

+995 591 11 41 41 info@fintechs.ge www.fintechs.ge

FIA

FINTECH ASSOCIATION OF GEORGIA

2025